პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) სენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 6 თებერვალი, 1946 წ. № 27 (7500). ფასი 20 კაპ.

საქართველოს ესტუმრა დიდი სტალინის საუკეთესო თანამებრძოლი, ქართველი ხალხის უფროსი მოამაგე ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

გუშინ თბილისს—სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა ოპერის თეატრში აღფრთოვანებული შეხვედრა მოუწყეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავიანთ სახელოვან კანდიდატს ამხანაგ ბერიას.

შეხვედრის მონაწილეებმა გამოხატეს მთელი ქართველი ხალხის უანგარო სიყვარული და ერთგულება თავისი სახელოვანი შვილის ამხანაგ ბერიასადმი, ვის სახელთანაც უშუალოდ დაკავშირებულია ჩვენი რესპუბლიკის ყველა წარმატებანი.

დაუვიწყარი შეხვედრა

საქართველოს ძველ დედაქალაქს მრავალი სასიხარულო დღე ახსოვს. მაგრამ გუშინდელი დღე სხვა იყო. ეს დღე განსაკუთრებულ თარიღად შევა განსაცალკევებულ თბილისის ისტორიაში.

გუშინ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატს, დიდი **სტალინის** უახლოეს თანამებრძოლს, ქართველი ხალხის სახელოვან შვილს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას.**

დაუვიწყარი, აღმაფრთოვანებელი იყო ეს შეხვედრა! დამსწრეთა მქუხარე ტაში და ერთსულოვანი ოვაცია მკაფიოდ დამახასიათებელი მთელი ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარულს დიდი სტალინისა და მისი უახლოესი თანამებრძოლის ამხანაგ ლავრენტი ბერიასადმი. ამ ერთსულოვნებაში გამოთქმული იყო მთელი ხალხის უსაზღვრო მადლობა ბოლშევიკების პარტიისადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი, რომელსაც გამარჯვებათა გზით მიუყვანართ.

ამომრჩევლებმა, რომლებმაც მოიწონეს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის წინასაარჩევნო მიმართვა, ამ შეხვედრის დროს ერთხელ კიდევ გვიჩვენეს, თუ რაოდენ მჭიდროდ არიან დარაზმული საქართველოს მშრომელები ლენინ-სტალინის პარტიის, ხალხთა ბრძენი ბელადის დიდი სტალინის გარშემო.

თვითეული ქართველისათვის, თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის ახლოველი და შობლიერია ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას, სახელი, ამხანაგი ლავრენტი ბერია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა მთელმა ქართველმა ხალხმა. მის სახელთან განუყოფელად დაკავშირებულია საბჭოთა საქართველოს უდიდესი მიღწევები სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში. ამხანაგი ბერია წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს ბოლშევიკებს, რაზმავდა ჩვენს ხალხს დიდი სტალინის ბრძნულ მითითებათა განუხრელად შესრულებისათვის.

უდიდესია ამხანაგ ლავრენტი ბერიას როლი ყველა ჩვენს წარმატებაში. ამიტომ უწოდებენ ამომრჩეველები ამხანაგ ბერიას საქართველოს ამღორძინებელსა და განმაჯანსაღებელს, არ არის საქართველოში არც ერთი კუთხე, სადაც მადლიერი ხალი ქება-დიდებას არ უმღერდეს მას!

შეხვედრაზე სიტყვით გამოსული ყველა ორატორი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა ბოლშევიკების პარტიის უერთგულესი შვილის, მტკიცე სტალინელის, საბჭოთა სახელმწიფოს გამჩრენილი მოღვაწის ამხანაგ ბერიას დამსახურებაზე ჩვენი ხალხის წინაშე.

ჯდიდესი განსაცდელის ჟამს, როცა გერმანელი დაპყრობლები თბილისთან ახლოს იყვნენ და ამიერკავკასიას სრულ განადგურებას უქადდნენ, დიდი სტალინის დავალებით ამხანაგმა ბერიამ მოაწყო ფაშისტთა ურღოების განადგურება კავკასიონთან. კავკასიის გმირული დაცვა სახელოვან ფურცლად შეიდა სამამული ომის მატიანეში. ამხანაგ ბერიას ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ განხორციელდა კავკასიონ მისაფეგმეებთან მტრის ურღოების განადგურების **დიდი სტალინური გეგმა.**

ისტორიამ სამუდამოდ აღბეჭდა ის უდიდესი აღფრთოვანება, რაც ქართველმა ხალხმა განიცადა, როცა შეიტყო, რომ დიდმა სტალინმა თავის უერთგულეს თანამებრძოლ, ამხანაგ ლავრენტი ბერიას მიანდო კავკასიის დაცვა.

ამხანაგ ლავრენტი ბერიას სტალინურმა ნებისყოფამ ერთიან ძალად შეკრა ამიერკავკასიის ხალხები და ფრონტის ჯარები, მტკიცედ წაიყვანა ისინი მტრის გასანადგურებლად. და ჩვენ გავიმარჯვეთ. ამ გამარჯვებას, ყველა თავის მიღწეულს ქართველი ხალხი უმადლის დიდი სტალინის გენიას, ამხანაგ ბერიას სტალინურ ხელმძღვანელობას და მზრუნველობას.

მქუხარე ტაშით, ხანგრძლივი ოვაციებით შეხვდნენ ამომრჩეველები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის სახელოვანი კანდიდატს ამხანაგ ბერიას გამოჩენას ტრიბუნაზე. მის მეაფეო, შესანიშნავ სიტყვას მთელი დარბაზი სულგანაბული ისმენდა. სიჩუმე მხოლოდ მაშინ ირღვეოდა, როდესაც გაისმოდა მქუხარე ტაში და შეძახილები ხალხთა ბრძენი ბელადის, დიდი სტალინის პატივსაცემად.

თავის სიტყვაში ამხანაგმა ბერიამ მადლობა გადიხადა ამომრჩეველებს ნდობისათვის, დაახასიათა ის უდიდესი გამარჯვებანი, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით, და საქართველოს ბოლშევიკებს დაუსახა საბრძოლო ამოცანები.

ამ ამოცანებს ჩვენ წარმატებით, ბოლშევიკურად შევასრულებთ!

მთელი დარბაზი მქუხარე ტაშით და ხანგრძლივი ოვაციით შეხვდა ამხანაგ ლავრენტი ბერიას სიტყვებს:

„ჯერ ჩემი წარსული ბუმაობით ერთგულად ვემსახურებოდი პარტიასა და ხალხს, მუდამ უსაზღვროდ ერთგული ვიყავი დიდი ბელადის, ამხანაგ **სტალინისა.** (მქუხარე ტაში). შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ მომავალშიც არ დავზოგავ ძალებს სოციალისტური სამშობლოს სამსახურისათვის, ამხანაგ **სტალინის** მითითებათა „შესასრულებლად".

დაუვიწყარი იყო ეს შეხვედრა!

შეხვედრის მონაწილეებმა გამოხატეს მთელი ქართველი ხალხის უსაზღვრო ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიისადმი, ბრძენი ბელადის დიდი სტალინისადმი, მისი სოკეკეთესო თანამებრძოლის ამხანაგ ბერიასადმი. შეხვედრა იყო საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველმყოფელი ძალის, ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის კიდევ ერთი შესანიშნავი დემონსტრაცია. შეხვედრამ ერთხელ კიდევ ნათელყო, რომ ურღვევია კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკი.

თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან ერთად დღეს მთელი ქართველი ხალხი იმეორებს მხურვალე მოსალმებათა სიტყვებს:

გაუმარჯოს მთელი საბჭოთა ხალხის პირველ კანდიდატს, კეთილშობილ უდიდეს გენიოსს, ჩვენს მამასა და მასწავლებელს დიდ **სტალინს!**

გაუმარჯოს ქართველი ხალხის სახელოვან შვილს, დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს, საბჭოთა კავშირის მარშალს, ჩვენს სახელოვან კანდიდატს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას!**

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

თბილისის — სტალინის საარჩევნო ოლქის წინასაარჩევნო კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატ ამხანაგ **ბერიასთან** შეხვედრისადმი, პირველი თავისი ფიქრით და უსაზღვრო სიყვარულისა და მადლობის გრძნობით მოგმართავთ თქვენ, ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორს, ხალხის ბედნიერებისათვის დიდ და დაუდალავ მებრძოლს.

თქვენ, ამხანაგო **სტალინ,** საბჭოთა ხალხი უნდა გიმადლოდეთ იმის, რომ იგი გადაურჩა დამონების საშინელ საფრთხეს და დღეს, მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ვითარებაში, დიდი აღფრთოვანებით ემზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის, რათა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში აირჩიოს თავისი ღირსეული წარმომადგენლები, რომელთაც აქვთ უნარი განახორციელონ ომით დანგრეული ქალაქებისა და სოფლების აღდგენისა და ჩვენი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის თქვენ მიერ დასახული პროგრამა. თქვენ, ამხანაგო **სტალინ,** უნდა გიმადლოდნენ მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები ფაშისტური დამონების იმ საფრთხისაგან გადარჩენას, რომელიც მათ თავს დასტიალებდა. პროგრესული კაცობრიობა თქვენზე ამყარებს იმედს ხალხებისათვის მშვიდობისა და უშიშროების ორგანიზაციის საქმეში.

საბჭოთა ადამიანები თქვენგან იღებენ სამშობლოს თავდადებული სამსახურის მაგალითს, დაუღალავი შრომისა და მრისხანე საფრთხის წინაშე უშიშარობის მაგალითს. თქვენზე ფიქრით სხვადხვადნენ ისინი საგმირო საქმეებს ფრონტზე და ზურგში, თქვენზე, როგორც საყოველთაო სახალხო დეპუტატზე ფიქრით ისინი 10 თებერვალს ხმას მისცემენ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს, ვინაიდან იციან, რომ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული პოლიტიკა, რომელმაც ჩვენი სამშობლო მიიყვანა აკეთაბრიობის ისტორიაში უდიდეს გამარჯვებებამდე, უზრუნველყოფს მისთვის ახალ ძლევამოსილებას, დიადი პროგრამა, რაც დასახულია საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში, აღგვაფრთოვანებს ახალი შრომითი ენტუზიაზმისათვის. სიტყვას გაძლევთ, ამხანაგო **სტალინ,** რომ მთელ ჩვენს ძალებს მოვაბმართ ამ პროგრამის განხორციელებას.

ჩვენ, თბილისის — სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს, წლად ვვბედავ დიდი პატივი — ხმა მივცეთ თქვენს ერთგულ მოწყალეს და თანამებრძოლს — ამხანაგ **ბერიას.** ამხანაგ **ბერიასთვის** ერთსულოვნად ხმის მიცემით ჩვენ ერთხელ კიდევ გამოვხატავთ ჩვენს თავდადებულ ერთგულებას ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სამშობლოსადმი, უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას თქვენდამი, ამხანაგო **სტალინ,** რომელმაც გამოზარდეთ პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელების ძლიერი კადრები.

საკავშირო მშრომელთა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებისათვის ერთსულოვნად ხმის მიცემით ერთხელ კიდევ ცხადყოფენ თავიანთ ნებასა და მზადყოფნას განუხრელად იარონ წინ სტალინური გზით **ლენინ-სტალინის** ყოველთმძლე დროშის ქვეშ.

გაუმარჯოს ჩვენს დიდ სამშობლოს!

გაუმარჯოს **ლენინ-სტალინის** პარტიას!

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს, გენიალურ მხედართმთავარს, ჩვენს მშობლიურ **სტალინს!**

ამხანაგ ლ. პ. ბერიას სიტყვა

თბილისის—სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 5 თებერვალს

ამხანაგებო! აქ გამოსულმა ორატორებმა ძლიერ ბევრი რამ მომაწერეს და მეტად შემაქეს.

რა თქმა უნდა, არ მიეკვეს მათი გრძნობებისა და აზრების გულწრფელობა, მაგრამ მე, რომელსადმიც მომართულია ეს ქება-დიდება, როგორღაც უხერხულად ვგრძნობ თავს. სრანს, ასეთ კრებებზე მიღებულია ქება და ამას უნდა შეეფიროდე. (დარბაზში გამოეცხლებაა. ტაში).

ამხანაგებო! თქვენ ყველანი, უეჭველია, წაიკითხავდით საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ყველა ამომრჩეველისადმი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით. ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში შეჯამებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი არჩევნების დროიდან განვლილი რვა წლის მანძილზე წარმოებული ჩვენი ბრძოლისა და შუშაობის შედეგები და მოცემულია პროგრამა, რომლითაც ბოლშევიკური პარტია უპარტიოებთან ბლოკით გამოდის არჩევნებში.

ამიტომ მე ცოტა რამ დამრჩენია გითხრათ თქვენ, ჩემს ამომრჩეველებს.

თვითეული ჩვენგანი გრძნობს და ესმის, რომ მთავარი შედეგი, რომლითაც ჩვენი ქვეყანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლანდელ არჩევნებს ეგებება, არის საბჭოთა ხალხის მიერ დიდ სამამული ომში მოპოვებული გამარჯვება.

არჩევნებზე მომავალი ჩვენი სამშობლოს მოკალაქეები თავიანთ პირველ ფიქრს მიაპყრობენ ჩვენი გამარჯვების დიდ ორგანიზატორს—ამხანაგ **სტალინს** (მქუხარე ტაში), უსაზღვრო სიყვარულით გრძნობით აბარებენ გულში მის სახელს.

თუ ომმა ჩვენს ქვეყანას შუშაზდებელს არ მოუსწრო, თუ ჩვენმა სახელმწიფომ კაცობრიობის მთელ ისტორიაში ყველაზე მძიმე განსაცდელს გაუძლო, ამას უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს ბრძენ ბელადს ამხანაგ **სტალინს.** (მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).

* * *

ლენინი და **სტალინი** წინასწარ სჯერეტდნენ ომს ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ ჯერ კიდევ იმ პერიოდში, როცა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა სახავდა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის გეგმას.

ამხანაგ **სტალინს** არასოდეს არ გაუშვია მხედველობიდან, რომ ადრე თუ გვიან საბჭოთა სახელმწიფოს მოუხდებოდა გამკლავება მტრული იმპერიალისტური სახელმწიფოების შემოტევებისათვის, პარტიასა და ხალხს ასწავლიდა არ დაევიწყნათ ომის საფრთხე და მომზადებულიყვნენ იმისათვის, რომ ყოველმხრივ აღჭურვილნი შეხვედროდნენ მტერს.

„თანამედროვეობის ძირითადი საკითხია, — სთქვა ამხანაგმა **სტალინმა,** — ახალი იმპერიალისტური ომის საფრთხის საკითხი. საქმე ეხება ომის არა რომელმე გაურკვეველ და უსახელო „საშიშროებას", საქმე ეხება საერთოდ ომის, განსაკუთრებით კი სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის რეალურსა და ნამდვილ საფრთხეს".

საბჭოთა კავშირი განუხრელად და თანმიმდევრულად იბრძოდა მშვიდობის შენარჩუნებისათვის. საბჭოთა მთავრობას არაერთხელ ჩაუფიშვია ზრახვები იმპერიალისტური სახელმწიფოებისა, რომლებსაც მიზნად ჰქონდათ პროვოკაციულად გამოეწვიათ ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ჩაეშალათ სოციალიზმის მშენებლობა ჩვენს კვეყანაში.

სტალინური საგარეო პოლიტიკის მეოხებით შესძლო საბჭოთა კავშირმა თავიდან აეცილებინა ომი მთელი რიგი წლების მანძილზე.

„ჩვენ არ შეგვიძლია და არ უნდა მიეყვეთ ჩვენი მოწინააღმდეგეების ნებას,—სთქვა ამხანაგმა **სტალინმა,**—ჩვენ ჩვენი გზით უნდა ვიაროთ, დავიცვათ მშვიდობის საქმე, ცხადყოთ ჩვენი ნებისყოფა მშვიდობისა, ვაბნილოთ ჩვენი მტრების მძარცველური ზრახვები და გამოვაშკარაოთ ისინი, როგორც ომის წამომწყებნი. ვინაიდან მხოლოდ ასეთ პოლიტიკას შეუძლია მოგვცეს შესაძლებლობა დავრაზმოთ სსრ კავშირის მშრომელთა მასები ერთიან საბრძოლო ბანაკად, თუ მტერი თავს მოგვახვევს ან, უფრო სწორად, რაც მტერი თავს მოგვახვევს ომს".

ომის საფრთხე განსაკუთრებით ვაიზარდა მას შემდეგ, რაც ევროპის ცენტრში, ვერმანიაში, ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგნენ ფაშისტები, ხოლო შორეულ აღმოსავლეთში იაპონია აშკარა აგრესიაზე გადავიდა.

საბჭოთა მთავრობის ბრძოლა კოლექტიური უშიშროების ორგანიზაციისა და ომის თავიდან აცილებისათვის წარმატებით არ დაგვირგვინდა, რადგან სხვა სახელმწიფოებმა მხარი არ დაუჭირეს საბჭოთა კავშირის ღონისძიებებს, შეუწყნარებელი დამთმობელობა გამოიჩინეს აგრესიულ სახელმწიფოთა მიმართ.

„ჩაურეკლობისა" და „ნეიტრალიტეტის" პოლიტიკის სახით ზოგიერთი ვინმე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ქვეყნებმა ხელმძღვანელი წრეებიდან ცდილობდა ფაშისტი აგრესორები წაეკეზებინა სსრ კავშირის წინააღმდეგ ომისათვის.

ევროპაში გამწვავებული სამხედრო ატმოსფეროს პირობებში, საბჭოთა კავშირს, თავის სამშვიდობო პოლიტიკის ერთგულს, არ შეუწყვეტია ომის თავიდან აცილების ცდები, მაგრამ დასავლეთ ევროპის წამყვანი დემოკრატიული სახელმწიფოების მმართველმა წრეებმა მხარი არ დაუჭირეს საბჭოთა მთავრობის წინადადებებს აგრესორისადმი კოლექტიური წინააღმდეგობის ორგანიზაციის შესახებ.

შემდგომმა ამბებმა დაადასტურეს, რომ საბჭოთა მთავრობის პოზიცია ერთადერთი სწორი პოზიცია იყო.

* * *

ცნობილია, რომ ჰიტლერული გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს არა რაიმე კონფლიქტის გადაწყვეტის მიზნით, არამედ იმ განზრახვით, რომ დაეშრა საბჭოთა წყობილება და დაემონებინა საბჭოთა ხალხი.

ისტორიამ არ იცის მაგალითი ისეთი სიმტკიცისა და უშიშარობისა, როგორიც ჩვენმა ბელადმა ამხანაგმა **სტალინმა** გამოიჩინა იმ მომენტში, როცა უბოროტესი მტრის უეცარმა თავდასხმამ და მისმა პირველმა წარმატებებმა სასიკეთლო სიფრთხე შეუქმნეს ჩვენს სახელმწიფოსა და ხალხს, როცა მრავალი საუკუნით წაგებმოდ ჩვენი თაობების ბედ-იღბალი.

ომის დაწყებისთანავე ამხანაგმა **სტალინმა** დაიკავა სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის პოსტი და იკისრა უშუალო პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის, სათავეში ჩაუდგა საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს და მტკიცედ და გაბედულად წარუძღვა მათ მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჯერ კიდევ ომის პირველ დღეებში, როცა მტერი, უეცარი თავდასხმის უპირატესობათა მეოხებით, სწრაფად მოიწევდა წინ, ცდილობდა პანიკა და რწმენის უქონლობა შეეტანა ჩვენს რიგებში, ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მთავრობამ, რომელებსაც სათავეში ამხანაგი **სტალინი** ედგა, არ გამოიჩინეს თუნდაც ოდნავი დაბნეულობა და მტკიცედ მოკიდეს ხელი ჩვენი ქვეყნის, მთელი ხალხის ყველა ძალთა მობილიზაციას მტრის გასანადგურებლად.

1941 წლის 30 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი „შექმნილი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო და იმ მიზნით, რომ სწრაფად მობილიზებულ იქნას სსრ კავშირის ხალხთა მთელი ძალები მტრის უკუსაგდებად, რომელიც ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს სამშობლოს".

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲐᲛᲮᲐᲜᲒᲠ Ქ. Გ. ᲑᲔᲠᲘᲐᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ—ᲡᲕᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ 1946 ᲬᲚᲘᲡ 5 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

როცა გერმანელთა ჯარები მოსკოვის მისადგომებთან გამოიკრნენ და მთავრობის დაწესებულებანი სოფლისთვის მიზნით მოსკოვიდან აღმოსავლეთში იქნენ ევაკუირებულნენ, ამხანაგი **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ** მოსკოვში დარჩა (მეტხარე ტაში), რათა პირადად ეხელმძღვანელა დედაქალაქის დაცვისათვის და მოსკოვთან გერმანელთა ჯარების განადგურების ოპერაციებისათვის. (ხანგრძლივი ტაში).

ყველაზე მძიმე მომენტში, როცა საზღვარგარეთ მეგობრებსაც და მტრებსაც ეგონთ, საბჭოთა კავშირის დღეები დათვლილიაო, როცა ჩვენი სამშობლოს მშრომელები დაძაბულნი ელოდნენ ცნობებს დედაქალაქის ბედის შესახებ, მოსკოვიდან მთელი მსოფლიოს გასაოცნად გაისმა **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ** მშვიდი, ურყევი რწმენით აღსავსე სიტყვები გერმანელი ოსპერიალისტებისა და მათი არმიების გარდუვალი განადგურების შესახებ. (ტაში).

როცა გერმანელი დამპყრობლები საქვეყნოდ გამაყვიროდნენ, მოსკოვი განწირულია, იგი უკვე ჩვენს ხელთ არისო, როცა მოწინააღმდეგის ცალკეულნი ჯგუფებმა, მოახერხეს მოახლოებოდნენ დედაქალაქს საარტილერიო ცეცხლის მანძილზე, 1941 წლის 7 ნოემბრის ისტორიულ დღეს მოსკოვის წითელ მოედანზე საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა ამხანაგმა **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲜᲐ** მიიღო წითელი არმიის ჯარების პარადი და გზა დაულოცა ჩვენს არმიას—დაუსაბა ეჩვენებინა გათავდებული მტრისათვის საბჭოთა იარაღის ძალა და ძლიერება, გაეანადგურებინა და მოესპო მტრის ურდოები.

გერმანელთა განადგურება მოსკოვთან, რაც მოახწავებდა ჩვენი ქვეყნის დაპყრობის ჰიტლერული წამოწყების ჩაფუშვას, გატარდა ამხანაგ **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ** ᲒᲔᲒᲛᲘᲗ და უშუალო ხელმძღვანელობით. (ხანგრძლივი ტაში).

იმასათვის, რომ გაგვემარჯვნა თანამედროვე ომში, რომლის სტრატეგია და ტაქტიკა ურთულესია, საჭირო იყო სამხედრო მეცნიერება აგვეკვანა ახალ უმაღლეს საფეხურზე. ბრწყინვალე სამხედრო ოპერაციები მოსკოვთან, სტალინგრადთან, კავკასიაში, კურსკთან და ოროლთან და მრავალი სხვა, ლენინგრადის გმირული დაცვა, გერმანელთა თავდაცვის შეიუსვრა, რომელიც სამხედრო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით წლობით შენდებოდა, იაპონის არმიის გაანადგურება ნათლად მოწმობენ სტალინურ მხედართმთავრულ გენიას.

ამხანაგი **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ** უშუალოდ ხელმძღვანელობდა საბჭოთა ზურგის მობილიზაციას, ომის მსვლელობაში ხელახლა აიარაღებდა წითელ არმიას ახალი თანამედროვე საჭურვლით, ხელმძღვანელობდა წითელი არმიის რეზერვების მომზადებას. წითელი არმიისა და მისი ცალკეკ ფრონტების ყველა სტრატეგიული გეგმა მუშავდებოდა ამხანაგ **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ** პირადი ხელმძღვანელობით. დიდი სამამული ომის ფრონტების მთელ ოპერატიულ ხელმძღვანელობას ამხანაგი **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ** ახორციელებდა.

მაგალითისთვის ავიღოთ კავკასიის დაცვა. როცა მტერმა შეიძყო კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილებთან გამოკრილიყო, ამხანაგმა **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ** დროზე განვრიტა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მტრის შემოჭრის შესაძლო შედეგები.

მტერი ბაკოს დიამუერა და წითელ არმიასა და ჩვენს ქვეყანას თანამედროვე ომის წარმოების უმნიშვნელოვანესი საშუალებისა—ნავთის ხელიდან გამოცლის საფრთხეს უქმნიდა.

გარდა ამისა, კავკასიაში გერმანელთა შემოტევის ჩაფუშვამ ჩაშალა გეგმები ზოგიერთი „ნეიტრალური" ქვეყნისა, რომლებიც იმედს ამყარებდნენ კავკასიაში სამხედრო-პოლიტიკურ დივერსიაზე.

გერმანელთა რჩეული ჯარების განადგურება კავკასიის მთის ძირებში განხორციელებულ იქნა ამხანაგ **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ** გეგმით. მისი მოითხებენი წითელი არმიის ნაწილები, რომლებიც კავკასიას იცავდნენ, უმოკლეს ხანში გარდაქმნილ და თავმოყრილ იქნენ გადამწყვეტ მიმართულებებზე. ულეტანტები დაკეტილ იქნა. კავკასის მისადგომებთან გერმანელებმა პირველი სერიოზული დარტყმა განიცადეს. (ტაში).

ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი ხალხებისა და კავკასიის სხვა ხალხების ისტორიაში ბრწყინვალე ფურცელებად შევა ის მგრძობა, რაც მათ ამიერკავკასიის მისადგომებზე მტრის განადგურების საქმეში გამოიჩინეს.

მძიმე პირობებში, როცა ამიერკავკასიის ფრონტი თითქმის მოწყვეტილი იყო ჩვენს ქვეყანას, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, დაღისტნის და ოსეთის შრომელები აკეთებდნენ ყველაფერს, რაც კი ძალუძდათ, ფრონტისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ამხანაგებმა ბაგიროვმა, ჩარკვიანმა და ართინოვმა, როგორც ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრებმა, გვიჩვენეს ბოლშევიკური უნარი მტრის უკუსაგდებად, რესპუბლიკათა სახალხო მეურნეობის სამხედრო ყაიდაზე გარდასაქმნელად და ფრონტისათვის დახმარების მოსაწყობად ამიერკავკასიის ხალხთა ძალების მობილიზაციის საქმეში. (ტაში). დიდი მუშაობა გასწიეს ამხანაგებმა ბაქრაძემ, რომელიც 46-ე არმიის სამხედრო საბჭოს წევრი იყო, ამხანაგმა დანელოვმა, როგორც 44-ე არმიის სამხედრო საბჭოს წევრმა, ამხანაგმა კულო

ამხანაგები ლ. ბერია, ა. რაფავა, კ. ჩარკვიანი, ს. ხოშტარია, ი. ვაცეკი, ს. ტროფიმენკო, ვ. ბუჯიაშვილი, ნ. გაბუნია, ზ. ჩხუბიანიშვილი, გ. სტურუა და ვ. ბაქრაძე ქალაქ თბილისის—სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრების პრეზიდიუმში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას შეხვედრა თავის ამომრჩევლებთან

5 თებერვალს ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსან თეატრში შედგა ქართველი ხალხის საამაყო შვილის, დიდი სტალინის ერთგულესი თანამებრძოლის ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას შეხვედრა თავის ამომრჩევლებთან — ქალაქ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან.

შეხვედრა გადაიქცა დიდი სტალინისადმი და მისი უახლოესი თანამებრძოლის — ლავრენტი პავლეს-ძე ბერიასადმი თბილისის მშრომელთა მხურვალე, უსაზღვრო სიყვარულის დემონსტრაციად.

საყვარელ კანდიდატთან შესახვედრად მოვიდნენ მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მოსამსახურეები, დიასახლისები, სამხედრო ნაწილების წარმომადგენლები, ახალგაზრდა ამომრჩევლები.

საარჩევნო ლოზუნგებით მორთული ვეებერთელა დარბაზი შეხვედრისადმი მიძღვნილი კრების გახსნამდე ბევრად ადრე აივსო ამომრჩევლებით.

აიხადა სცენაზე ფარდა და ამომრჩევლებმა სხვა ამხანაგებს შორის დაინახეს თავისი კანდიდატი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია. დამსწრენი მას მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ. დარბაზის ყოველი კუთხიდან გაისმა აღფრთოვანებული შეძახილები მთელი ქართველი ხალხის სახელოვანი კანდიდატის ამხანაგ ბერიას პატივსაცემად.

ლავრენტი პავლეს-ძე ბერიასთან ერთად კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, გ. სტურუა, მ. ბარამია, ს. ტროფიმენკო, ვ. ბუჯიაშვილი, პ. შარია, ა. რაფავა, ს. ხოშტარია, ი. კოჩლამაზაშვილი, ზ. ჩხუბიანიშვილი, ა. თოფურიძე, ვ. გრიგორიანი, ვ. ეგნატაშვილი, ი. ვაცეკი, ე. ჩერქეზია, მ. ბალავაძე, გ. გოჩაშვილი, გრ. კიკნაძე, შ. კობრეიძე, ი. ნანიტაშვილი, კ. გამსახურდია, ი. გრიშაშვილი, ა. მაშაშვილი, ა. ვასაძე, შ. ღამბაშიძე, გ. აბელედიანი, დ. ბაქრაძე, მ. გეწაძე, ვ. კორძაძე, კ. ილურიძე და სხვები.

ამომრჩეველთა კრება გახსნა თბილისის—სტალინის საარჩევნო ოლქის № 555 საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ნ. გაბუნიამ.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით კრებამ საპატიო პრეზიდიუმში აირჩია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი **სტალინის** მეთაურობით.

თავმჯდომარემ სიტყვა მისცა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველ ხარატს, ამხ. მ. მამაგეიშვილს. იგი ამბობს:

— ამხანაგებო! ახლოვდება საყოველთაო სახალხო ზეიმის დღე — 10 თებერვალი, როცა საბჭოთა ხალხი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე ერთსულოვნად აირჩევს სოციალისტური სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოს—სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს.

არჩევნები ტარდება ჩვენი ხალხის მიერ დიდი სტალინის ხელმძღვანელობით მოპოვებულ ბრწყინვალე გამარჯვების ვითარებაში, როდესაც საბჭოთა ქვეყნის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობასთან და ინტელიგენციასთან ერთად შეუდგა მშვიდობიანი მშენებლობის ახალი სტალინური ხუთწლედის შესრულებას.

უდიდესი სიხარულითა და აღფრთოვანებით შეხვდა ჩვენი ქარხნის მთელი კოლექტივი ცნობას, რომ საქართველოს საამაყო შვილი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია დასთანხმდა კენჭი იყაროს თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქში.

დღეს, ამ ისტორიული შეხვედრისას, როდესაც ლავრენტი პავლეს-ძე ბერია ჩვენს შორის არის, ჩვენი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების სახელით ვაცხადებ, რომ მუდამ ვიქნებით ლენინ-სტალინის დიადი საქმის ერთგულნი, მტკიცედ დავიცავთ იმ რევოლუციურ ტრადიციებს, რომლებიც აქ დანერგა დიდმა სტალინმა, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა უმოკლეს დროში მოვუშუშოთ სამშობლოს ომით მიყენებული ჭრილობები და კვლავ საამური ცხოვრება მოვაწყოთ.

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საამაყო შვილს ჩვენს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას! (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს დიდ სტალინს! (მქუხარე ხანგრძლივი ტაში, მთელი დარბაზის ოვაციები).

შემდეგ სიტყვას იღებს პროფესორი ა. გულისაშვილი. მან სთქვა:

— დიდ სამამულო ომში ჩვენ გავიმარჯვეთ, რადგან გვხელმძღვანელობდა ლენინ-სტალინის დიადი პარტია, წინ მიგვიძღოდა თანამედროვეობის უდიდესი ადამიანი დიდი სტალინი.

ამიტომაც მადლიერმა საბჭოთა ხალხმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად უდიდესი სიყვარულით დაასახელა ამხანაგი სტალინი.

დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან ლენინ-სტალინის პარტიის, საბჭოთა ხალხის ერთგული შვილები. მათ შორის არის ჩვენი საამაყო ლავრენტი პავლეს-ძე ბერია. მეტად დიდია ამხანაგ ბერიას დამსახურება საბჭოთა ხალხის, განსაკუთრებით ქართველი ხალხის წინაშე. დიდია მისი როლი ჩვენი სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების, ლიტერატურის აყვავებაში. ამხანაგ ლავრენტი ბერიას უყვარს — ჩვენი ხალხი და ხალხსაც უსაზღვროდ უყვარს იგი.

10 თებერვალს ჩვენ ყველანი გამოვცხადდებით საარჩევნო ყუთებთან და დიდი სიხარულით მივცემთ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

ინჟინერი ბ. კვერგელიძე თავის სიტყვაში ამბობს:

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების პერიოდში თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა ახალი წარმატებ[illegible] მოიპოვა. 1945 წლის 15 ნოემბრისათვის მან შეასრულა წლიური გეგმა და წლის ბოლომდე მრავალი სასოფლო-სამეურნეო მანქანა მისცა ქვეყანას გეგმის გადამეტებით. იანვრის გეგმა შევასრულეთ 100,8 პროცენტით.

10 თებერვალს ჩვენი ქარხნის მუშა-მოსამსახურეები და ტექნიკური ინტელიგენცია საქართველოს მშრომელებთან ერთად თავიანთ უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას ლენინ-სტალინის პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი, ჩვენი საყვარელი ლავრენტი ბერიასადმი დაადასტურებენ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიცემით.

გვარდიის პოდპოლკოვნიკმა ვ. ნემონტოვმა მგზნებარე სიტყვაში განაცხადა:

— დიდ სიხარულს განიცდიან დღეს თბილისის და მთელი საქართველოს მშრომელები და მათთან ერთად ჩვენი გვარდიული შენაერთის მებრძოლები, სერჟანტები და ოფიცრები.

ჩვენი გვარდიული შენაერთი იბრძოდა სტალინგრადთან. აქედან მოყოლებული ჩვენ ვდევნეთ და ვჟლიტეთ მტერი, შევრეკეთ იგი თავის ბუნაგში და შემდეგ გავანადგურეთ. ამ სახელოვანი საბრძოლო გზის მთელ მანძილზე არ ყოფილა არც ერთი ისეთი მომენტი, რომ შემოგვკლებოდეს საჭურველი, ან სხვა რამ, რაც საჭირო იყო გამარჯვების მისაღწევად.

ამას ჩვენ ვუმადლით იმას, ვინც დღეს სიხარულად მოგვევლინა, ვისაც თავის დეპუტატად აირჩევს მთელი ქართველი ხალხი,—ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

მოვუწოდებ თბილისის—სტალინის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველს 10 თებერვალს მივიდნენ საარჩევნო ყუთებთან და ერთსულოვნად მისცენ ხმა ამხანაგ ლავრენტი ბერიას.

სიტყვა ეძლევა დამსახურებულ არტისტ ს. ზაქარიაძეს, რომელმაც სთქვა:

— ჩვენ წილად დიდი ბედნიერება გვხვდა. აქ, თბილისში, სტალინის საარჩევნო ოლქში კენჭს იყრის დიდი სტალინის ერთგულესი თანამებრძოლი, ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, ქართველი ხალხის საყვარელი შვილი და მოამაგე ლავრენტი პავლეს-ძე ბერია. ყოველ ახალ საქმეს, თბილისში, საერთოდ საქართველოში და, განა მარტო საქართველოში, მისი მადლიანი ხელი ატყვია. მისი მზრუნველობით აყვავდა ჩვენი მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა. და თუ დღეს ქართულ მეცნიერებას, ხელოვნებას, ლიტერატურას გარკვეული წვლილი შეაქვს საბჭოთა კულტურის საერთო საგანძურში, ეს იმის შედეგია, რომ ამხანაგი ბერია წლების მანძილზე გვზრდიდა და გვაწრთობდა, გვხელმძღვანელობდა და გვეხმარებოდა.

ამხანაგ ბერიას გამოზრდილი ზურგისა თუ ფრონტის მუშაკები სამშობლოსათვის, ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის, დიდი სტალინისათვის თავდადების შეუდარებელ მაგალითებს გვაძლევდნენ.

გვარდიის ზემდეგი კ. ჭანუყვაძე თავის სიტყვაში აცხადებს:

— თბილისის-სტალინის საარჩევნო ოლქის სამხედრო ამომრჩეველთა სახელით, ნება მომეცით მხედრული სალამი გადავცე ჩვენს საამაყო კანდიდატს, ქართველი ხალხის სასიქადულო შვილს, ძვირფას ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

იმ მრისხანე ჟამს, როცა დამპყრობლები მოიწევდნენ საქართველოსაკენ და სურდათ გაეთელათ, გაენადგურებინათ და მოესპოთ ჩვენი ხალხი, ლავრენტი პავლეს-ძე ბერია მოგვევლინა, როგორც მხსნელი. კავკასიონის მისადგომებზე განლაგებულმა მებრძოლებმა სანგრებში შევიტყვეთ ამხანაგ ბერიას ჩამოსვლა. ამან შეგვმატა ძალა, გაგვიძლიერა ბრძოლის წყურვილი და კიდეც გავანადგურეთ მტერი.

10 თებერვალს ჩვენი ნაწილის მებრძოლები ერთსულოვნად მივცემთ ხმას მთელი ქართველი ხალხის საამაყო კანდიდატს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ამხ. ი. გრიშაშვილს, რომელიც კითხულობს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიასადმი მიძღვნილ ლექსს.

• • •

შემდეგ წინასაარჩევნო კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა ამხანაგმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ. მთელი დარბაზი ხანგრძლივი ოვაციით მიესალმება მის გამოჩენას ტრიბუნაზე. დიდხანს გაისმის შეძახილები ხალხთა ბელადის დიდი სტალინისა და მისი სახელოვანი თანამებრძოლის ლავრენტი ბერიას პატივსაცემად.

კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც წაიკითხა თბილისის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. კობახიძემ.

უდიდესი აღფრთოვანებით იქნა მიღებული კრებაზე დიდი სტალინისადმი მისასალმებელი დეპეშის ტექსტი, რომელიც წაიკითხა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ვასაძემ.

რ ე ზ ო ლ უ ც ი ა
ქალაქ თბილისის—სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებისა

ჩვენ, თბილისის—სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს უდიდესი სიხარული მოგვანიჭა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ჩვენს კანდიდატთან, ქართველი ხალხის სახელოვან და საყვარელ შვილთან—ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიასთან** შეხვედრამ. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ დიდი **სტალინის** ერთგული თანამებრძოლი, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი ამხანაგი **ბერია** დასთანხმდა კენჭი იყაროს ჩვენს საარჩევნო ოლქში.

ამხანაგ **ბერიას** სახელი ძვირფასია ყოველი ჩვენგანისათვის, საბჭოთა საქართველოს მშრომელებისათვის, ვინაიდან ვიცით, რომ საქართველო მას უნდა უმადლოდეს თავის ეკონომიურ და კულტურულ აღმავლობას. ამხანაგ **ბერიას** სახელი ძვირფასია ამიერკავკასიის ყველა მშრომელისათვის, ვინაიდან მათ იციან ამხანაგ **ბერიას** როლი ამიერკავკასიის რესპუბლიკების აყვავების, ჩვენი მოძმე ხალხების სტალინური მეგობრობის განმტკიცების საქმეში. ისინი არასოდეს არ დაივიწყებენ, რომ ამხანაგმა **ბერიამ**, ამხანაგ **სტალინის** დავალებით და მისი სტრატეგიული გეგმით, მოაწყო გერმანელთა განადგურება კავკასიონის კალთებზე და ამიერკავკასიის რესპუბლიკები იხსნა ფაშისტი ბარბაროსების გამანადგურებელი შემოსევისაგან. ამხანაგ **ბერიას** სახელი ძვირფასია მთელი საბჭოთა ხალხისათვის, ვინაიდან მან იცის ამხანაგ **ბერიას** როლი გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდ სამამულო ომში გამარჯვების უზრუნველყოფის საქმეში. საბჭოთა ხალხი მასში ხედავს ლენინურ-სტალინური ტიპის სახელმწიფო მოღვაწეს, შეურიგებელ მებრძოლს პარტიისა და ხალხის მტრების წინააღმდეგ, უდიდეს ორგანიზატორს და მშენებელს, **ლენინ-სტალინის** დიადი საქმის უსაზღვროდ ერთგულ ადამიანს.

კომუნისტებისა და უპარტიოების მძლავრი ბლოკი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში არის გამოხატულება საბჭოთა ხალხის ურღვევი დარაზმულობისა თავისი კომუნისტური პარტიის გარშემო, თავისი საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ **სტალინის** გარშემო. პარტიისა და ხალხის ამ ურღვევმა ერთიანობამ უზრუნველჰყო ჩვენი სამშობლოსათვის დიდი გამარჯვებანი მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში, მანვე უზრუნველჰყო დიდი გამარჯვება ომში, რომელშიც მრავალი საუკუნით სწყდებოდა ჩვენი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ბედი.

ჩვენ მხურვალედ მივესალმებით საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ყველა ამომრჩევლისადმი, როგორც უმნიშვნელოვანეს ისტორიულ დოკუმენტს, რომელიც აჯამებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი არჩევნების შემდეგ განვლილი პერიოდის ჩვენი ბრძოლისა და მუშაობის შედეგებს და რომელიც სახავს პროგრამას, რითაც ბოლშევიკური პარტია მომავალ არჩევნებში გამოდის უპარტიოებთან ბლოკით.

ამხანაგი **ბერია** არის კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის სახელოვანი კანდიდატი, ხალხის ნამდვილი წარმომადგენელი. ამხანაგ **ბერიასთვის** ხმის მიცემით ჩვენ ცხადვყოფთ ჩვენს ერთგულებას პარტიისა და მთავრობის პოლიტიკისადმი, ჩვენს ერთგულებას სამშობლოსადმი და დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ **სტალინისადმი**. ჩვენ დიდი სიხარულით მივცემთ ხმას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ჩვენს საყვარელ კანდიდატს — ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას**. ჩვენ მივმართავთ ჩვენი ოლქის ყველა ამომრჩეველს, საბჭოთა საქართველოს ყველა ამომრჩეველს, ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებს და ამით ერთხელ კიდევ ცხადჰყონ თავიანთი ერთგულება **ლენინ-სტალინის** დიადი საქმისადმი, თავიანთი ურყევი ნება იარონ წინ ძლევამოსილი სტალინური გზით.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სამშობლოს!

გაუმარჯოს **ლენინ-სტალინის** დიად პარტიას!

გაუმარჯოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ჩვენს სახელოვან კანდიდატს — ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას!**

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ დიდ **სტალინს!**

ი. გრიშაშვილი

თბილისის სიხარული

ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას

სიმებს ცეცხლი ეკიდება, —
ამ სიხარულს ნეტა რა სჯობს!
შენ — სალამი! შენ — დიდება!
შენს ჩამოსვლას გაუმარჯოს!

როცა მტერი მოესია
ჩვენს მიწა-წყალს, მთას და ველებს,
როცა შოთას პოეზიას
ჩვენ გვტაცებდნენ, ჩვენ, ქართველებს, —

შენი ნიჭის ნაშუქარი
მაშინ აქაც აელვარდა —
გამარჯვების ალსდგა ქარი!
გამარჯვების ახლტა ფარდა!

შენ შეიტკბე გატაცებით
სასახელო საქმე შენი,
აგვიზარდე ვაჟკაცები
საქართველოს დამამშვენი.

სთქვი და: გასწყდნენ თავხედები,
სთქვი და: აღმა წავა მტკვარი, —
ახალ თბილისს გადახედე —
ყველგან მოსჩანს შენი კვალი.

შენს საყვარელ სახელს ჰფიცავს
პოეტების ხმა პირველი, —
რადგან ქართლის ახალ მიწას
შენ ჩაუდგი საძირკველი.

შენსკენ ვიწვდით გაშლილ ხელებს
შენსკენ, ჩვენო საყვარელო, —
დეპუტატად გასახელებს
რუსთაველის საქართველო!

სტალინური მითითება
ჩვენს ქვეყანას კვლავ სდარაჯობს,
შენ — სიცოცხლე! შენ — დიდება!
ჩვენს ბერიას გაუმარჯოს!

ამომრჩეველთა შეხვედრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან

(„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტებისაგან)

გ ა ლ ი

გალის სარაიონო კლუბში შეიკრიბნენ ქალაქის მუშა-მოსამსახურეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, დიასახლისები. ისინი მოვიდნენ აქ, რათა შეხვედროდნენ დეპუტატობის თავიანთ კანდიდატს ალექსანდრე ეპიფანეს-ძე თოფურიძეს.

წინასაარჩევნო კრება გახსნა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. შენგელიამ.

ნდობით აღჭურვილმა პირმა ამხ. ჩოლარიამ დამსწრეებს მოუთხრო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის ამხ. ა. ე. თოფურიძის ბიოგრაფია და მოუწოდა ამომრჩევლებს ხმა მისცენ მას.

პატრიოტული სიტყვები წარმოსთქვეს თ. ჩიქოვანმა, მასწავლებელმა პ. ჯეჯენიამ, აგრონომმა კვარაცხელიამ.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა დეპუტატობის კანდიდატი ამხ. ა ე. თოფურიძე, რომელმაც მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს ნდობისათვის და პირობა მისცა მათ, რომ მომავალშიც ენერგიის დაუზოგავად იმუშავებს ხალხის საკეთილდღეოდ.

ამხ. თოფურიძეს შეხვედრა მოუწყვეს აგრეთვე ოქუმის, ჭუბერხინჯის, საბერიოს და კოხორის საბჭოთა მეურნეობის ამომრჩევლებმა.

ს ო ხ უ მ ი

სოხუმის რაიონის ეშერის საბჭოთა მეურნეობის მუშები, ზემო და ქვემო ეშერის სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობათა წევრები და ახალგაზრდა ამომრჩევლები შეხვდნენ დეპუტატობის თავიანთ კანდიდატს აკაკი ივანეს-ძე მგელაძეს.

საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ სიტყვას ამბობს საქართველოს კ. პ. (ბ) სოხუმის რაიკომის მდივანი ამხ. ზარანდია. მან სთქვა:

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს შორის დასახელებულია საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. მგელაძე. ჩვენი ოლქის მშრომელები კარგად იცნობენ მის მუშაობას პარტიის დავალებათა შესასრულებლად. დარწმუნებული ვარ, რომ ამომრჩევლები ერთსულოვნად მისცემენ ხმას ამხ. მგელაძეს.

მზვრელავი კოვალი ამბობს:

— ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ დიდ სტალინს, კომუნისტურ პარტიას, მის ერთგულ შვილებს, რომ ომიდან გამარჯვებული გამოვედით. ხმას მივცემთ რა ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანებს, მათ შორის ჩვენს კანდიდატს ამხ. მგელაძეს, ამით ჩვენ ხმას ვაძლევთ ლენინ-სტალინის პარტიას, ხალხთა ბელადს დიდ სტალინს.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ავიძბა, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი ამხ. ქართხია, ნდობით აღჭურვილი პირი ამხ. მარუგინი, ეშერის სოფლსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. გულია და სხვები.

ამხ. ა. ი. მგელაძე მადლობას უხდის ამომრჩევლებს ნდობისათვის და მოუწოდებს მათ ახალი შრომითი აღმავლობით აღნიშნონ არჩევნების დღე.

ს ი ღ ნ ა ღ ი

ასობით ამომრჩეველი შეიკრიბა სიღნაღის სახელმწიფო თეატრში ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან ანა სტეფანეს-ასულ ფიროსმანაშვილთან შესახვედრად.

ნდობით აღჭურვილმა პირმა მასწავლებელმა ლ. ნარიმანოვმა დამსწრეთ გააცნო ანა სტეფანეს-ასულ ფიროსმანაშვილის ბიოგრაფია და ამომრჩევლებს მოუწოდა ერთსულოვნად მისცენ მას ხმა.

ქალაქის ინტელიგენციის სახელით სიტყვა წარმოსთქვა თ. ქურციკიძემ.

— სტალინურმა კონსტიტუციამ განამტკიცა ქალის თანასწორუფლებიანობა,—სთქვა მან.—ჩვენში ქალი ქვეყნის საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების აქტიური მონაწილეა. ამას ბრწყინვალედ ადასტურებს მიმდინარე საარჩევნო კამპანიაც. ჩვენი საარჩევნო ოლქიდან დეპუტატობის კანდიდატია კოლმეურნე ანა სტეფანეს-ასული ფიროსმანაშვილი. მე მოუწოდებ დამსწრეთ ერთსულოვნად მისცენ მას ხმა.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ექიმი ს. მათეშვილი, მუშა ვ. ბეჟაშვილი, ნ. შარმიაშვილი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა ანა ფიროსმანაშვილმა მადლობა გადაუხადა შეკრებილთ ნდობისათვის და სიტყვა მისცა მათ, რომ არ დაზოგავს ენერგიას სოფლის მეურნეობაში მეტი წარმატებების მოსაპოვებლად.

ამხ. ა. ი. ვიშინსკის გამოსვლა უშიშროების საბჭოს 4 თებერვლის სხდომაზე

მე მინდა შევჩერდე განცხადებაზე, რომელიც წარსულ სხდომაზე 1 თებერვალს აქ ბ-ნმა ბევინმა გააკეთა.

ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ბ-ნ ბევინის სიტყვისა, რომელიც ჩვენ აქ 1 თებერვალს მოვისმინეთ, ის არის, რასაც შეიძლება ვუწოდოთ ფრიად თავისუფალი მოპყრობა ფაქტებისადმი. ამიტომ მე დღევანდელ ჩემს გამოსვლაში მიხდება შევჩერდე ამ ფაქტებზე და ამ ფაქტების იმ თავისებურ ინტერპრეტაციაზე, რომელიც წარსულ სხდომაზე ბ-ნმა ბევინმა მოგვცა.

შეეხო რა საბჭოთა მთავრობისა და უშიშროების საბჭოში საბჭოთა დელეგაციის მიერ საბერძნეთის საკითხის დასმას, ბ-ნმა ბევინმა, სხვათა შორის, სთქვა, რომ როდესაც უნდა წამოიჭრას საბერძნეთის პრობლემა საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების დროს, ეს ყოველთვის მაშინ ხდება, როდესაც ჩვენ რუმინეთის, ბულგარეთის ან პოლონეთის საკითხზე ვმსჯელობთ. ბ-ნმა ბევინმა დასძინა, რომ ამ საკითხს, ე. ი. საბერძნეთის საკითხს, საბჭოთა მხარე ყოველთვის აყენებს, როგორც ბრიტანეთის წინააღმდეგ კონტრიერიშსო. მან სთქვა: „როდესაც უნდა შევეხოთ იმ პრობლემებს, რომლებიც ევროპის რომელიმე სხვა ნაწილს ეხებათო". თუ რამდენად არასწორად და რამდენად ტენდენციურად გადმოსცემს ამ საკითხს ბ-ნი ბევინი, ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმ ფაქტების მიხედვით, რომლებიც მე მინდა ქვემოთ მოვიყვანო.

მართლაც, როგორი იყო საქმის ვითარება საბერძნეთის საკითხში ბერლინის კონფერენციაზე? ბერლინის კონფერენციაზე 20 ივლისს, სადაც ბ-ნი ტრუმენი თავმჯდომარეობდა, მოსმენილ იქნა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოლოტოვის ცნობა საგარეო ...

... ვ. მ. მოლოტოვს იმ შემთხვევებში, როდესაც რუმინეთის, ბულგარეთის ან პოლონეთის საკითხზეა მსჯელობა, ბანქოს დასტიდან მეფე გამოაქვს და აცხადებს: „აი, ჩემი მარჯვე სვლაო!" ამასთან ბ-ნმა ბევინმა დასძინა: „მაგ-

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოითხოვენ საბჭოთა სომხეთისათვის სომხური მიწა-წყლის დაბრუნებას

ნიუ-იორკი, 1 თებერვალი. (საკდესი). „სომხებისადმი სამართლიანი მოპყრობისათვის ბრძოლის ამერიკულმა კომიტეტმა" წერილი გაუგზავნა ამერიკის დელეგაციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და მოითხოვს შესრულებულ იქნას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ვილსონის გადაწყვეტილება სომხეთისათვის თურქეთის მიერ მიტაცებული პროვინციების ნაწილის დაბრუნების შესახებ.

კომიტეტმა განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს „ამერიკის სომხეთა ეროვნული საბჭოს" მოთხოვნას სომხური ტერიტორიების დაბრუნებისა და იმ მრავალი ათასი სომხის რეპატრიაციის შესახებ, რომელთაც სამშობლოში დაბრუნება სურთ. კომიტეტი მოუწოდებს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას ტოლერსად მეგობრული სულისკვეთებით განიხილოს სომეხი ხალხის საჭიროებანი, რა დროსაც კი ისინი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განხილვის თემა უნდა გახდნენ.

რადიომიმომხილველმა ბლეკმა კომენტარი გაუკეთა კომიტეტის წერილს და განაცხადა: „იმ მეთოდებზე უფრო სასკანდალო არა არის რა, რომელთა შემწეობითაც ევროპისა და აზიის ქვეყნები ერთმანეთს ევაჭრებოდნენ და ებრძოდნენ, სომხებს კი პაიკებად იყენებდნენ. ეს შეეხება როგორც ქრისტიანულ, ისე მუსლიმანურ გავლენას, და მხოლოდ საბჭოთა კავშირმა სამართლიანად მისცა ამ ხალხს ტერიტორია, უშიშროება, კულტურული ავტონომია და განათლებისა და პროგრესის საშუალებანი".

შემდეგ ბლეკმა განაცხადა „საბჭოთა სომხეთმა მართლაც შეუწყო ხელი სომეხი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას. იგი სარგებლობს საბჭოთა კავშირის მფარველობით. ამ ფაქტს კომუნიზმის კრიტიკოსებიც კი აღიარებენ. ის სომხებიც კი, რომლებიც აქტიური ნაციონალისტები არიან და დაინტერესებული არ არიან საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გადიდებით, აღიარებენ თავიანთი ხალხის უშიშროებასა და პროგრესს სახალხო რესპუბლიკების საბჭოთა სისტემის დროს".

მაგრამ, — ბლეკის სიტყვით, — ეს როდი სჭრის უფრო ფართო პრობლემას, რომელიც მთელ სომხებს შეეხება. მილიონზე მეტი სომეხი გაფანტულია ახლო აღმოსავლეთში, როგორც ლტოლვილები. ისინი განიცდიან შიმშილს, თვითნებობას, ძარცვასა და მკვლელობას. სომხითა მოთხოვნები საფუძვლიანია. 200.000 სომეხი ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელთაგან ზოგი ლტოლვილია, უმრავლესობა კი ემიგრანტი, კვლავ ისწრაფვის თავისი სამშობლოს განთავისუფლებისაკენ თურქ მჩაგვრელთაგან, რომლებიც „ფორმალურად ნეიტრალური რჩებოდნენ, მაგრამ ფაშისტებთან თანამშრომლობდნენ".

მეცნიერებათა აკადემიაში

ხუთშაბათს, 7 თებერვალს, დღის 2 საათზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის ორგანული ქიმიის ლაბორატორიაში (ცამოს ქ. № 34) შესდგება ორგანული ქიმიის განყოფილების საჯარო სხდომა, მიძღვნილი აკადემიკოს ნ. დ. ზელინსკის დაბადების 85 წლისთავისადმი.

მოხსენებას თემაზე—„აკადემიკოს ნ. დ. ზელინსკის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა" გააკეთებს დოცენტი ქ. არეშიძე.

ლექცია

6 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს უმაღლესი სასამართლოს დიდ დარბაზში პროფესორი **ი. ი. ტალახაძე** წაიკითხავს ლექციას თემაზე: **„საბჭოთა დემოკრატია როგორც დემოკრატიის უმაღლესი ფორმა".**

თეატრებში

რუსთაველის სახელობის—6/II—„ხევისბერის გოჩა", 7/II—„ღალატი". **მარჯანიშვილის სახელობის**—6/II—„მოკვეთილი", 7/II—„ფიქრის გორა". **გრიბოედოვის სახელობის**—6, 7/II—„თვითმფრინავი დღე-ღამეს ავვიანებს". **მუსიკალური კომედიის**—6/II — „არშინ-მალ-ალან", 7/II—„როზ-მარი". **სანკულტურის** — 7/II—„სევდიანი რომანი". **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — 6/II — „ზამთრის ზღაპარი", 7/II—„რომეო და ჯულიეტა".

კინოებში

6 თებერვალს: **რუსთაველის სახელობის** —„სილვა". **ოქტომბერი** — „ოთხთა გული". **დამკვრელი**—„მისი მსახურის და". **კომკავშირელი** — „რაიკომის მდივანი". **სპარტაკი** — „ტყუპი". **ლუქსემბურგის სახელობის**—„მისი მსახურის და". **26 კომისრის სახელობის** — „ტყუპი". **ოფიცერთა სახლი**—„ედისონი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების მუშაკები იუწყებიან ამხ. დ. მახარაშვილის მამის **ნიკოლოზ მახარაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6/II, 7 ს. გამოსვენება 7/II, 5½ ს. კოლმეურნეობის, 18.

საქართველოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ტრესტი „საქკვებმშენი" იუწყება უფროს ინჟინერ **მიხეილ ანთიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6/II, 7 ს. გამოსვენება 7/II, 4 ს. მოსკოვის, 13.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციისა და გამომცემლობის თანამშრომელთა კოლექტივი იუწყება ამხ. მამია ხუხუნაიშვილის მეუღლის მასწავლებელ **ქეთევან დავითის-ასულ კარიჭაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7/II, 7 ს. ვარდისუბნის, 1. გამოსვენება 8/II, 5 ს.

„საქსოფლელექტროს" ტრესტის თანამშრომელთა კოლექტივი იუწყება **ნინო გერონტის-ასულ აბაზაძის** გარდაცვალებას გამოსვენება 6/II, 6 ს, განათლების, 1.

უნგრეთის მთავრობის შედგენა

ბუდაპეშტი, 4 თებერვალი. (საკდესი). უნგრეთის რადიოს ცნობით, რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზოლტან ტილდიმ ეროვნული კრების პოლიტიკური კომისიის წინადადებით უნგრეთის პრემიერ-მინისტრად დანიშნა ეროვნული კრების ახლანდელი თავმჯდომარე ნად ფერენცი, რომელსაც მიანდო უნგრეთის მთავრობის შედგენა.

შემდეგ პრემიერ-მინისტრ ნად ფერენცის წარდგენით რესპუბლიკის პრეზიდენტმა დანიშნა მთავრობა წინანდელი შემადგენლობით.

ახალი მთავრობის წევრებმა უკვე ფიცი დასდეს.

ფიცის შემდეგ რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიიღო პრემიერ-მინისტრი, ხოლო შემდეგ მთავრობის წევრები.

ეგვიპტეში შეიქმნა ახალი პარტია

კაირო, 29 იანვარი. (საკდესი). გაზეთების ცნობით, ინტელიგენტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა ახალი პარტია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელწოდებით. პარტიამ თავის მთავარ მიზნად გამოაცხადა — ეგვიპტის სრული დამოუკიდებლობის მოპოვება და მისი გაერთიანება სუდანთან, მასების საარსებო დონის ამაღლება და პროპაგანდის გაწევა სხვადასხვა რელიგიურ საზოგადოებათა შორის მეგობრობის ღრმაყარების მიზნით.

ნორვეგიის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრის დანიშვნა

ოსლო, 3 თებერვალი. (საკდესი). როგორც ნორვეგიის დეპეშათა ბიურო იუწყება, გუშინ ნორვეგიის მთავრობამ მიიღო ნორვეგიის საგარეო საქმეთა პოსტიდან ტრიუგვე ლის გადადგომა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივნად მის დანიშვნასთან დაკავშირებით.

ოსლო, 3 თებერვალი. (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა ჰალვარდ მანტეი ლანგე.

გაფიცვები ჰოლანდიის საწარმოებში

ჰააგა, 4 თებერვალი. (საკდესი). ანპ-ის სააგენტო და ჰოლანდიის გაზეთები იუწყებიან მრავალი გაფიცვის შესახებ ჰოლანდიის საწარმოებში. დიდხანს გრძელდებოდა მებრძმედლებისა და მელილვეების გაფიცვა ეიმეიდენის ქარხანაში. მუშებმა მოითხოვეს ხელფასის მომატება, მაგრამ დირექციამ ამ მოთხოვნის შესრულებაზე უარი სთქვა და გაფიცულებს წინადადება მისცა შესდგომოდნენ მუშაობას უწინდელი პირობებით. მუშებმა უარი სთქვეს შეეწყვიტათ გაფიცვა, და დირექციამ ამის პასუხად ქარხნიდან დაითხოვა ყველა გაფიცული. პროფკავშირმა პროტესტი განაცხადა დირექციის თვითნებობის წინააღმდეგ.

იმავე სააგენტოს ცნობით, 31 იანვარს უტრეხტში გაფიცვა გამოაცხადეს მბეჭდავებმა და ასოთამწყობებმა, რომლებმაც მოითხოვეს იმ პირთა დათხოვნა ხელმძღვანელობიდან, რომლებიც ჰიტლერელებთან თანამშრომლობდნენ. მუშებსა და დირექციას შორის კონფლიქტი მოხდა როზენდალის ქარხანაში. მუშები გაფიცვით იმუქრებიან, თუ დირექცია 25 პროცენტით არ მოუმატებს ხელფასს.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, სამდივნოსი—3.06.88, განყოფილებისა: პროპაგანდის—3.82.05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3.51.84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3.73.24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3.80.83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3.80.84, მორიგისა და გამომშვების—3.81.65, გამომცემლობის—3.51.81, სტამბის დირექტორის—3.77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000. ŭე 00017